



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№33

28 დეკემბერი 2020 წელი

„სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივნისის №23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №01/4358 წერილის საფუძველზე მოთხოვნილ იქნა სატრანსპორტო საშუალება WOLKSVAGEN PASSAT-ის (სედანი ს/კ WVWMA63BXXE499157) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან ამოღება, რადგანაც 2020 წლის ბიუჯეტის სახსრებით მიმდინარე წელს ვერ განხორციელდა ზემოაღნიშნული სამსახურისათვის ახალი ავტომანქანის შესყიდვა. ასევე, საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან ამოსაღებია ავტო მანქანა RENAULT MEGAN (უნივერსალი, ს/ნ VF1JA020A19540410), ვინაიდან ის შემენილია ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს მიერ საკუთარი სახსრებით და ირიცხება მისსავე ბალანსზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია ყოველივე ზემოაღნიშნული ასახულ იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივნისის №23 განკარგულებაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ივნისის №23 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი №2-ის შესაბამისად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. N247)

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი

